

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308
გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით გამართულ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრს, რომელიც დარეგისტრირებულია, როგორც მოსამართლეობის კანდიდატი.“

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კონკურსის ჩატარების პირობები და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ამდენად, სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებას წარმოადგენს მოსამართლეთა შერჩევის ობიექტური და სამართლიანი წესის შემუშავება. აღნიშნული ნორმის საფუძველზე შემუშავებულია „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ საბჭოს წევრს, რომელიც ამავედროულად დარეგისტრირებულია როგორც მოსამართლეობის კანდიდატი არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურებში.

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის“ 12⁵ მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ვალდებული არიან კონკურსის დროს იხელმძღვანელონ სამართლიანობის პრინციპითა და მართლმსაჯულების ინტერესებით, მხარი დაუჭირონ მოსამართლეობის იმ კანდიდატებს, რომლებიც თავიანთი კვალიფიკაციითა და მორალური თვისებებით სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად შეესაბამებიან მოსამართლის მაღალ წოდებას; არ დაუშვან თვითნებური და დისკრიმინაციული მიდგომების გამოყენება და იმავედროულად გაითვალისწინონ კონკრეტული ვაკანტური ადგილის მიმართ მოსამართლეობის ამა თუ იმ კანდიდატის შესაფერისობა. ამდენად, საბჭოს წევრები დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამავე გადაწყვეტილების 12⁶ მუხლის თანახმად როგორც საბჭოს წევრმა, ასევე მოსამართლეობის კანდიდატმა თავი უნდა შეიკავონ ერთმანეთთან ინდივიდუალური, განკერძოებული შეხვედრებისაგან, სატელეფონო ან სხვაგვარი კონტაქტებისაგან და *ex parte* (ცალმხრივი) კომუნიკაციისაგან. ამდენად, მოსამართლეობის კანდიდატისა და საბჭოს წევრის ერთმანეთთან კომუნიკაციას, რომელიც შეიძლება მიკერძოებულობის ეჭვის საფუძველი გახდეს, აღნიშნული გადაწყვეტილება დაუშვებლად მიიჩნევს.

საბჭოს წევრის მოსამართლეობის კანდიდატთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა დაარღვევს კონკურსის, როგორც კანდიდატთა თანასწორობაზე დამყარებული პროცესის არსს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის N1/69 გადაწყვეტილებით ცვლილება განხორციელდა „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილების მე-14 მუხლში და მისი პირველი პუნქტით მოსამართლეობის კანდიდატს აეკრძალა საბჭოს იმ სხდომაზე დასწრება, რომელიც ეხება მოსამართლეობის კანდიდატთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას. თავის დროზე აღნიშნული ცვლილებები სწორედ იმ მიზნით განხორციელდა, რომ რომელიმე კანდიდატი არ ჩაყენებულიყო არათანაბარ პირობებში და დაცული ყოფილიყო კანდიდატთა შორის თანასწორობა. აღნიშნული მუხლით აკრძალულია მოსამართლეობის კანდიდატის სხდომაზე დასწრება, რაც თავის მხრივ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების აკრძალვასაც წარმოადგენს საბჭოს იმ წევრისთვის, რომელიც დარეგისტრირებულია, როგორც მოსამართლეობის კანდიდატი.

მართალია, „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი“, ზემოთ აღნიშნული მუხლების ანალიზის საფუძველზე გამორიცხავს საბჭოს წევრის მონაწილეობას მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, მაგრამ ყოველგვარი ეჭვისა და კრიტიკის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოს წევრი მონაწილეობს მოსამართლეობის კონკურსში, მის მიმართ ჩნდება დადებითი ფაქტორები, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მის მოსამართლედ დანიშვნაზე. მოსამართლეობის კანდიდატს, რომელიც ამავდროულად საბჭოს წევრია ხელი მიუწვდება სხვადასხვა სახის, მათ შორის სხვა კანდიდატების კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. მოსამართლეობის სხვა კანდიდატს კი აღნიშნული პრივილეგია არ გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში, საბჭოს წევრი უფლებამოსილია დაიცვას მისი, როგორც საბჭოს წევრისა და ასევე, როგორც მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესები, რაც ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობის საფუძველი ხდება.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს „საბჭოს წევრისა“ და „მოსამართლეობის კანდიდატის“ ცნებას. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში შეუძლებელია ერთი პირი იყოს ორივე სტატუსის მატარებელი. ამგვარ დაშვებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. საჯარო სამართალში კი ყოველივე ის რაც დაშვებული არ არის - აკრძალულია. ამდენად, იმ შემთხვევაში თუ საბჭოს წევრი იღებს გადაწყვეტილებას, რომ მონაწილეობა მიიღოს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში, მას კანდიდატად დარეგისტრირებიდან საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებამდე უნდა შეეზღუდოს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, რათა იგი სხვა კანდიდატებთან მიმართებით არ აღმოჩნდეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

თავის მხრივ მხოლოდ ის ფაქტი, რომ საბჭოს წევრი მონაწილეობს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში, სხვა კანდიდატების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას იწვევს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მას სხვა საბჭოს წევრებთან, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, კოლეგიალურ ურთიერთობაშია არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილების მიღებისას მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები არ/ვერ იქნებიან. უფრო მეტიც, საბჭოს წევრის მონაწილეობა იმ კანდიდატთა დანიშვნის გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც თავის კონკურენტებს წარმოადგენენ, დაარღვევს წევრის ვალდებულებას, რომ იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. არსებობს რეალური შანსი იმისა, რომ მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გავლენა მოახდინოს სხვა კანდიდატებზე. (როგორც მოგეხსენებათ, კანდიდატებს უფლება აქვთ განაცხადი შეიტანონ რამდენიმე ვაკანტურ ადგილზე. შესაბამისად, ერთ-ერთ ვაკანსიაზე მისთვის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, ის ავტომატურად სხვა ვაკანტური ადგილის პრეტენდენტი ხდება).

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებობის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საბჭოს წევრი დარეგისტრირებულიყო როგორც მოსამართლეობის კანდიდატი. ამდენად, საბჭოს წინაშე არ დამდგარა „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში“ ზემოთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საჭიროება. ახლა როდესაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დგას ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება, აუცილებელია ცვლილებების განხორციელება ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

მიზანშეწონილია, მოსამართლის დანიშვნაზე ან/და შერჩევაზე უფლებამოსილი ორგანოს წევრების აცილების/გადაწყვეტილების მიღებისაგან ჩამოშორების საფუძვლებისა და პროცედურების განხილვა ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.

ვენეციის კომისიისა და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) რეკომენდაციების მიხედვით მართლმსაჯულების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლო სისტემის მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ასევე მოსამართლეთა დანიშვნას, მობილობას, დაწინაურებას,

დისციპლინასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით დამყარებული უნდა იყოს დამოუკიდებლობასა¹ და მიუკერძოებლობაზე.²

დამოუკიდებლობაზე დამყარებული მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა გულისხმობს არა მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც ორგანოს დამოუკიდებლობას პოლიტიკური თუ სხვა პროცესებისაგან, არამედ თავის თავში თითოეული წევრის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვასაც მოიცავს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის მიხედვით მართლმსაჯულების საბჭო შესაძლებელია სრულად შედგებოდეს მოსამართლეებისაგან ან იყოს შერეული შემადგენლობის და შედგებოდეს მოსამართლეებისა და არამოსამართლეებისაგან. **ორივე შემთხვევაში თავიდან უნდა იქნას არიდებული პირადი ინტერესების გატარება, პირადი პროტექცია და ქრონიზმი.**³

მისასაღმებელია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2015 წლის 5 ოქტომბრის N1/162 გადაწყვეტილებით მოაწესრიგა საბჭოს მდივნის აცილების საკითხი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. აღნიშნული ცვლილებების განხორციელება გამოიწვია იმ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობამ, რომელიც შესაძლებელია წარმოშობილიყო საბჭოს მდივანს, როგორც დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემფასებელ პირსა და საბჭოს მდივანს, როგორც შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსამართლეს შორის. სწორედ მსგავსი შემთხვევა წარმოიშობა საბჭოს წევრის მონაწილეობისას მოსამართლეობის კონკურსში გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც ის დარეგისტრირებულია, როგორც მოსამართლეობის კანდიდატი.

აუცილებელია, ყურადღება მიექცეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36³ მუხლის მე-3 ნაწილის დათქმას, რომლის მიხედვითაც მოხელე არ შეიძლება იყოს იმ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი ატესტირება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლეთა შერჩევის პროცესში თავისი არსით საკონკურსო-საატესტაციო კომისიას წარმოადგენს. უფრო მეტიც, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს კონსტიტუციური აქტი მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით, რაც თითოეული წევრის მხრიდან უფრო მეტ მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას მოითხოვს. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს და საბჭოს წევრზე უნდა გავრცელდეს

¹ ვენეციის კომისიის მიერ 2007 წლის მარტში მის 70-ე პლენარულ სხდომაზე მიღებული ანგარიში "მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე", საკონსულტაციო საბჭოს დოკუმენტის დახვეწის მიზნით

² იხ. ² ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა N 1 (2001);

³ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა N10 (2007), მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკრძალვის მსგავსი რეგულაციები და მან მონაწილეობა არ უნდა მიიღოს იმ კანდიდატებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც მასთან ერთად იღებენ კონკურსში მონაწილეობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანამედროვე ევროპული სტანდარტებისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ სწორად ორგანიზებული და ფუნქციონირებადი საჯარო სამსახური არის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტური მმართველობის განხორციელების წინაპირობა. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესების, მიუკერძოებულობის, არაეთიკური ქცევისა და დისკრეციის არდაშვების გარეშე. საზოგადოების თანამონაწილეობის ხარისხი და მასშტაბი მმართველობის განხორციელებაში დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოსადმი, მისი ინსტიტუტებისადმი ნდობის, რწმენის ხარისხზე. მოსახლეობის ნდობის კოეფიციენტს კი რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, გამჭვირვალობა, კანონიერება, პროფესიონალიზმის დაფასება, ხელშეწყობა, წახალისება, ობიექტურობა და ა.შ.⁴

ავშიშნავთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესი საზოგადოების მაღალი ინტერესის საგანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება მოსამართლეთა დანიშვნას. ამასთან, მიმდინარე კონკურსი გამოცხადებულია რამდენიმე ათეულ ვაკანტურ ადგილზე (61 ვაკანსია). საბჭოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას კი წარმოადგენს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მოსამართლის შერჩევისა და საბჭოს საქმიანობის დამატებით ისეთი რეგულაციების შემუშავება, რაც გამორიცხავს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობას, საბჭოს წევრის მიკერძოებულობასა და სუბიექტურობას. ამდენად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვახტანგ მჭედლიშვილი

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-463-451(კ-13)